პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 2



# ტარტაროზი




...მაგრამ შიმშილით გაუხმათ კუჭი
და ჯიუტობა ალმოჩნდა ფუჭი.
გამოელიათ პური და სითბო
და მათ სიცოცხლეს არ ჰქონდა სიტკბო.
ხვედრი ელოდათ მწარე და ცუდი
რიგებში ჩადგენ, გამართეს კუდი.

ყველა მოდიან მონანიებით
და ტყვიის ნაცვლად ხელში იებით.
სულ შეიცვალა უცბად ტაროსი
და იცნო ყველამ ეს ტარტაროზი.
თუ უპირებდენ თავზე დაჯდომას
ეხლა ჩვენ ვხედავთ ფეხქვეშ მათ დგომას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტარტაროზის მგზავრობა

ჩვიდმეტ ნოემბერს, ორშაბათს, ე. ი. მეორე დღეს, როცა პირველი ბრძანება გამოსცა, ტარტაროზი უცხოეთში გაემგზავრა, რომ ადგილობრივ გასცნობოდა იქაურ მდგომარეობას.

ჩვენში ამბობენ, რომ ორშაბათს ოჯახიდან წასვლა არ ვარგაო, რადგან ამ დღეს წასული უკან მალე დაბრუნდება.

ჩვენ ეს უთხარით ტარტაროზს, მაგრამ მან დაცინვით გვიპასუხა:

— სწორედ იმიტომ მივდივარ ორშაბათს, რომ მალე დავბრუნდე.

ამის შემდეგ ჩვენ არაფერი გვეთქმოდა და შეუდეგით მის გამგზავრებას.

ევროპაში ჩვენებური ტანსაცმელით წასვლა, როგორც გამოირკვა, სახიფათო ყოფილა, ასე რომ ტარტაროზისათვის ტანსაცმელის შეკერვის საკითხი წამოიჭრა.

წავედით სინდიკატში, მაგრამ აქ იაფფასიანი ვერაფერი ვნახეთ და იძულებული გავხდით კერძო ვაჭრისაგან შეგვეძინა.

გამოირკვა, რომ ამ ვაჭარს ეს საქონელი სინდიკატიდან შეეძინა და ამიტომ ღირდა ასე ძვირი.

ტარტაროზმა მოინდომა ამ საქმის გამოძიება, მაგრამ დრო აღარ იყო, რადგან ტანსაცმელს შეკერვა უნდოდა და ჩვენც გავეშურეთ მკერვალთან.

აქ კიდევ მეტი დაბრკოლება გადაგვეღობა წინ:

მკერვალმა შეკერისათვის მოგვთხოვა ხუთჯერ მეტი, ვიდრე ფართალი ღირდა.

ტარტაროზი გაჯავრდა და მოინდომა მკერვალის ჯოჯოხეთში გადაგზავნა, მაგრამ მკერვალმა თავი შეაბრალა.

რა ვქნა, ბატონო, სუსხიშვილმა დიდი გადასახადი შემაწერა და მასზე უფრო კიდევ მეტი ჩემმა ცოლმა.

მეტი გამოსავალი აღარ იყო—მოვრიგდით. საღამოს მოვიკითხეთ შეკერილი ტანსაცმელი, მაგრამ მეტად ვიწრო დარჩა.

მკერვალი შეუდგა თავის მართლებას, მაგრამ ტარტაროზმა მაშინის ყუთიდან ამოათრია კარგა მოზრდილი ნაჭერი.

მკერვალმა აღიარა, რომ მისი პატარა შვილისათვის უნდოდა შარვალი შეეკერა.

ალმასკომის საათმა შვიდჯერ დარეკა და ჩვენ დრო აღარ გვქონდა მკერვალი მიგვეპატიჟებია წიხლის სამართლის სიმილიციაში.

სადგურში წასასვლელად ავტომობილის მოყვანა განვიზრახეთ, მაგრამ ტარტაროზმა ეტლი ამჯობინა, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ უფრო იაფი დაჯდებოდა. ჩვენ ვიცოდით ალმასკომის მიერ დადგენილი ნიხრი და შეუფარდეთ ჩვენს ჯიბეს. შეფარდება დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა.

არ გავრიგებივართ და ისე გავემგზავრეთ სადგურში. მეეტლეს შევაძლიეთ რაც ერგებოდა ნიხრის თანახმად.

მართალია, ნიხრის თანახმა იყო, მაგრამ ჩვენმა მეეტლემ უთანხმოება განაცხადა და მოითხოვა ოთხჯერ მეტი.

მილიციონერის ჩარევითაც ვერაფერს გავხდით, რადგან: „ნიხრი კი არის, მაგრამ მისი დაცვა სავალდებულო არ არის“.

სხვა საშვალება აღარ იყო—გავისტუმრეთ, რადგან „საქმის გამორკვევა მხოლოდ კომისარიატში შეიძლებოდა“.

შევედით სადგურში.

მეტად გაგვიხარდა, რომ კასასთან არავინ იდგა და ბილეთი „უხლაფოთოდ“ და უპრატექციოთ ავიღეთ.

— ადგილს კი ვიშოვი; ბევრი მგზავრები არ იქნება მგონი,—გვითხრა ტარტაროზმა.

პირველი ზარი დაჰკრეს და მატარებელიც ჩამოდგა.

ჩვენ ადგილიდან არ ვიძროდით, რადგან მატარებელი სავსე იყო მგზავრებით და გვეგონა ბაქოდან მოვიდა იგი.

ვიდექით და ტკბილად ვმუსაიფობდით. ტარტაროზი გვიბარებდა თუ რა უნდა გაგვეკეთებია მისი აქ არ ყოფნის დროს.

დაჰკრეს მეორე ზარი და ჩვენ ყურსაც არ ვაქანებთ.

მესამე ზარის შემდეგ მატარებელი დაიძრა.

— რაშია საქმე, ამხანაგო, ეს მატარებელი სად მიდის? —შეეკითხა ტარტაროზი იქ მდგომ რკინის გზელ მილიციონერს.

— სკორი პოეზდია, რუსეთში მიდის. უპასუხა ზურგშექცევით მილიციონერმა.

— კი მაგრამ, მატარებელი რატომ ჩამოდგა მგზავრებით სავსე?

— მერე რა უყოთ... გოროდსკოი სტანციაში აქვთ ბილეთი ნაყიდი.

— კი მაგრამ, მატარებელი ქალაქის სადგურში ხომ არ მდგარა, რომ იქ ჩამჯდარიყვნენ?—არ ეშვებოდა ტარტაროზი.

— შენი წინადობილას თავი არ მაქვს მე... პოეზდი პარკში იდგა და იქ ჩაჯდენ... უთხრა მილიციონერმა და ვიღაც მათხოვარს გამოეკიდა გარედ გასაგდებად.

გაბრაზებული ტარტაროზი გავარდა გარედ და მის საბედნიეროდ მატარებელი იქვე იდგა.

თურმე სადგურის უფროსის ნაცნობ მანდილოსანს საპირფარეშოში დაგვიანებოდა და მისთვის გაეჩერებიათ.

— ტარტაროზმა ამ მანდილოსანს დიდი მადლობა გადაუხადა.

— ასე რომ მგონებოდა კიდევ არ ავჩქარდებოდი. რაღაც მუცელში ვერ ვარ კარგად და იმიტომ დამაგვიანდა „უბორნიაში“.

ტარტაროზმა ქვეშქვეშ ჩაიფხუტუნა და შევიდა კუპეში.

—

მოსკოვში ტარტაროზი ავტომობილით მივიდა ჩიჩერინთან, რომლიდანაც ნებართვა უნდა აეღო.

ჩიჩერინმა გაიფიქრა: ვაი თუ ტარტაროზი აღარ დაბრუნდა უცხოეთიდან? იქ ხომ ბევრ გემრიელ კერძს ნახავს?

ტარტაროზმა შეატყო და უთხრა.

— არა ძმაო, ეჭვი ნუ გეპარება. ჯოჯოხეთში ყოფნა რომ მდომებოდა, აქ აღარ მოვიდოდი.

ჩიჩერინმა ნებართვა მისცა და ტარტაროზი ჰაეროპლანით ევროპაში გაეშურა.



ვარშავაში ჩამოფრენა მოინდომა; შიოდა და აქ გემრიელ კერძს ნახავდა, მაგრამ ვერ გაბედა, რადგან დაინახა პარტიზანული რაზმები თარეშობდენ და უწესოება ხდებოდა.

რამოდენიმე საათის განმავლობაში ბერლინში ამოჰყო თავი. აქ მოინდომა მთავრობის ნახვა, მაგრამ სახლში არავინ დახვდა. ყველას ფანარი ეჭირა ხელში და ახალ მთავრობას დაეძებდა, მაგრამ ვერ ნახულობდენ ისეთ კაცს, რომელსაც ჯერ მონაწილეობა არ ჰქონდეს მიღებული მთავრობაში.



პურის ჭამა უნდოდა, მაგრამ ვერსად ვერაფერი ნახა და ისევ გაუდგა გზას ლონდონისაკენ.

სამინისტროსკენ მიდიოდა, რომ ქუჩაში ზღვაოდენ ხალხი დაინახა.

— ისმოდა: მაკდონალდი... მაკდონალდი.

რადგან შემთხვევა ხელს უწყობდა, ტარტაროზმა განიზრახა მაკდონალდისათვის სამძიმრის გამოცხადება, მაგრამ არ მოეწყო.

— და აი რატომ:

მაკდონალდი ჯორზე იჯდა. ჯორი გაბმული იყო იმ ავტომობილში, რომელიც მას აჩუქეს, როცა იგი პრემიერი იყო. ავტომობილში იჯდა ლოიდ-ჯორჯი, რო-



მელიც ლიდერობიდან გადააყენეს. თვითონ მაკდონალდი თავისი ქარხნის დამზადებულ ბისკვიტებს სჭამდა და თანაც ლოიდ ჯორჯს ელაპარაკებოდა (ჯორზე უკუღმა იჯდა). საგძალი ბლომად მიჰქონდა. ტარტაროზმა გაიგო რომ ეს ქრისტიანები იერუსალიმში მიდიოდენ ქრისტეს საფლავის თაყვანისაცემლად.

ვერც ბალდვინი ნახა, რადგან მთელი მთავრობა შემომჯდარიყო მაგიდაზე და ზინოვიევის წერილს იზეპირებდენ მამაჩვენოსავით.

ლონდონიდან პარიზში ჩაფრინდა ტარტაროზი. აქ ყველამ იუცხოვა იგი. ემიგრაცია ფეხზე დადგა და ერიოსთან კაცი აფრინეს, რომ ვიღაც კომუნისტი ჩამოვიდაო.

ერიომ საიდუმლოდ აცნობა ტარტაროზს:

— მოლაპარაკებას ხელს შეუშლით თუ საჩქაროდ არ წადით. შენი აქ მოსვლა რომ პუანკარემ გაიგოს, ორივე ყურებს ამაფცქვნის...





ტარტაროზმა ჩაიცინა და სთქვა: შენ რომ ხეირს იზამ შენს პატრონს დაამადლე... შენაც და პუანკარესაც ორივეს ერთად აგძვრებათ ყურები.

ქუჩას შეუხვია. აქ საელჩო შენობასთან ნახა ნაცნობები, რომლებიც კრასინს ელოდებოდენ და ძველ ცოდვებს ინანიებდენ.

მოშივდა და კაფეში შევიდა. კაფეში ნახა ჩვენი ემიგრაცია ეშმაკი ბუზებს იჭერდა. თურმე, ას დაჭერილ ბუზში კაფეს პატრონი ერთ ფრანგულ ბულკს აძლევდა ეშმაკთ. მეორე კუთხეში ცარიელ სუფრაზე იჯდა ყოფილი მთავრობა და შესცქეროდა, თუ როგორ მიირთმევდენ სხვები.





ტარტაროზი საკმაოდ გამოძღა და ერიოსათვის რომ ხელი არ შეეშალა, იტალიისაკენ გაემგზავრა.

აქაც იგივე სურათი ნახა, რაც პოლონეთში. ფაშისტები ერთმანეთს დარეოდენ... თვითონ მუსოლინი რკინის ჯაჭვებით ლაყე კვერცხს ჰკრავდა. კვერცხი გაბზარულიყო და საძაგელი სუნი ამოდიოდა.

— არ გატყდეს და არ დამსვაროს, გაიფიქრა ტარტაროზმა და საჩქაროდ ისევ გზას გაუდგა.

სახალინზე დაინახა, რომ აქ ვილაცამ ისე მაგრად ჰკრა პანღური იაპონიას, რომ ეს უკანასკნელი კისერტეხით გადასკუპდა, გაიმშრალა ზღვა და, მასაც არ გაუგია, ისე დასკუპდა ტოკიოში.



ტარტაროზმა ამ სურათზე ისე მაგრად გადიხარხარა, რომ დამფრთხალ იაპონელებს მიწის ძვრა ეგონათ და მორთეს განგაში; ტარტაროზი კი ჩინეთისკენ მიფრინავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრობდა ჩინეთში ორი დღე დარჩენილიყო, რომ გასცნობოდა იქაურ მდგომარეობას, მაგრამ ზემოდან დაინახა, რომ აქ ძაღლი პატრონს ვერ სცნობდა და ჰკბენდა.. თვით ჩინელებმაც არ იცოდენ, თუ ვინ ვის ებრძოდა.

— მართლაც ჩინური საქმე ხდება ჩინეთში. სთქვა ტარტაროზმა თავისთვის და ჰაეროპლანს მეტი სისწრაფე მისცა.

დღეს დილით იგი უკვე ტფილისში არის. ჩვენ არ ველოდით მის ასე საჩქაროდ დაბრუნებას, მიუხედავად იმისა, რომ იგი ორშაბათს იყო გამგზავრებული.

გამართლდა თქმულება, რომ ოჯახიდან ორშაბათს წასული, უკან მალე დაბრუნდებაო.

ამიტომ ჩვენც ვურჩევთ, ვინც კვდება, მოკვდეს ორშაბათს, რათა ამ ქვეყნად დაბრუნდეს მალე, ე. ი. მეორედ მოსვლის დროს.

**ჭინჭარი.**



# ტრაგედია წითელ სასდილოში

### 1. მამა-პაპურად.

გახსნეს წითელი სასადილო,
გავარდა ცნობა,
და მოესურვა ჩვენს მახარეს
იქ სადილობა.
იყიდა პური, და ფეხების
მხიარულ ქნევით,
ჩაეშვა სწრაფად სასადილოს
სარდაფში ქვევით.
დაახლოვებით იქნებოდა
საათის სამი,
თავისუფლად როცა ძლივას
იშოვა სკამი,
და შემოუჯდა სუფრას გაშლილს
იმედით სავსე...
ფიქრობს: გავწყვიტავთ კერძო ვაჭრებს
ჩვენ ბოლოს ასე...
მშვენიერობაა... მაგრამ ჩქმეტდა
გულს ერთი რამე,
იყო სარდაფში მეტის-მეტი
სიბნელე... ღამე...
კრთოდენ სანთლები კართოფილის,
(გარეთ მზე, დარი)
გეგონებოდათ ასვენია...
ბუფეტზე მკვდარი...
ახლოს ვიღაცის ყრუ სიცილში
ისმოდა გესლი:
— არა უშავს-რა, მალე ძაღლს
მოგვცემს ზაჰესი!..—
და შეუტია იმ ვიღაცას
მახარემ მტრულად:
— ტყვილად იცინით, ასე არ სჯობს
მამა-პაპურად?.,
უკრავს მუსიკა... ნაზი ხმები
წვდებიან გულში.
ამბობს მახარე:—დღეს სადა ვარ:
სად ვიყავ გუშინ?..

### 2. თვითონ მიხვდება...

დრო მიდის ზანტად... გული უწუხს
მახარეს მშიერს,
მაგრამ ვაჟკაცობს, არ იშორებს
მხიარულ იერს.
ფიქრობს, ლოდინი ეხლა კაცსა
სად არ გიხდება,
მოსამსახურე ჩემს რიგს, ალბად,
თვითონ მიხვდება..,
სრულდება ოთხი... მოთმინებას
კარგავს მახარე...
— რაშია საქმე, რომ არავინ
მოდის ამ მხარეს?..
სიმართლე რომ ვთქვათ, არც ისეა
სინათლე ცუდი...
უჩინმაჩინის ხომ არ მხურავს
დაბოლოს ქუდი?!..
უხმება კუჭი... ვეღარ იპყრობს
მუსიკა ყურსა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მსწრაფლ მოუდო იმან ბოლო
მოტანილ პურსა...
მიგრამ, ხმელ პურით ვერ იცხოვრებ,
ცხადია, კაცი...
დააკაკუნა. (უნდა იყო
ცოტა მამაცი).
მაინც არავინ... სცემე თებშებს,
ჭიქებს... მაგიდას...
თუ გსურს, წაიღე ყველაფერი
საითაც გინდა...
ხელის შემშლელ და მოპასუხეს
ნურავის ელი;
პირიქით, იქით გაგიჩნდება
კიდევ მშველელი...
დნება იმედი... შეისრულებ
აქ განა წადილს?..

. . . . . . . . .

ბოლოს როდისღაც, ხუთ საათზე
ეღირსა სადილს.

### 3. რას ნიშნავს თადარიგი.

თუ აქამომდის რას შვებოდენ
ვისაც გსურს ჰკითხე...
ორიოდ წუთში მსწრაფლ შეხვრიპა
მახარემ სითხე.
მორჩა რა ამას, ერთი წამით
შეჩერდა, შედგა,..
და შემდეგ ხორცის ზორბა ნაჭერს
ეძგერა მედგრათ,
დაასო კბილი.., ატრიალებს
და სჯიჯგნის ხარბად...
მაგრამ დღეს ბედი გადაუდგა
მახარეს, ალბად...
ფიქრობს: ხორცია, ეს თუ შინა...
არც გემო... ქონი..,
რაჟდენ გვეტაძის ქვეშევრდომი
დაუკლავთ მგონი...
მალე ნაჭერი ისევ თეფშში
გადააქანა...
თქვა:—წამოდგო საკატლეტო
ნეტავ მანქანა...
თორემ ეს სხვისი ქვეშევრდომი
სარგებლის ნაცვლად,
მიპირებს მგონი უკანასკნელ
კბილების დაცლას!..

(აი, რას ნიშნავს მომზადება
და თადარიგი),
მეორე თავის ეხლა ლოდინს
შეუდგა იგი.

### 4. ნორმაზე მეტი.

მახლობლად ვიღაც ვაჟკაცები
ითხოვდენ სასმელს,
მოსამსახურე იყო მათთვის
ზრდილობით სავსე.
—გვიბრძანეთ მხოლოდ—სტუმარი ხართ
თქვენ ჩვენი ხშირი...
გვაქვს „წინანდალი“, „იმერეთი“,
„კავშირთ—კავშირი“.
და თუ ესენი ქეიფისთვის
თქვენთვის არ კმარა,
მოგვეპოვება საუცხოვო
კიდევ „ხვანჭკარა“.
სჩანს, მოეწონათ მოქეიფეთ
სიტყვა ამგვარი.
—მოიტათ ყველა: ტკბილი, მჟავე,
სუსტი, მაგარი!...
რა დროს ნორმაა... რისი ნორმა?...
რომელი ნორმა?..
ერთი ბოთლიკა როგორ ვწრუპოთ
სასირცხოთ ორმა?!.
მოსამსახურე თავს ევლება
მოყვარულთ ღხინის...
არის მომტანი წამდაუწუმ
სხვა და სხვა ღვინის.

### 5. ეშმაკი მხარში.

იცდის მახარე... ენატრება
სადილი სახლის...
ბოლოს მობეზრდა და უზრდელად
ყვირის, იძახის:
—თუ მოგაქვთ, ბარემ მოიტანეთ,
წავიდა მადა!..
იყო პასუხი:— სხვაც ბევრია
აქ, ძმავ, თქვენს გარდა,
და რომ სულ ყველამ თქვენებურად
შექნას ხმაური,
სასადილოში გამეფდება
აურზაური!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც ეშმაკი ჩვენს მახარეს
შეუჯდა მხარში
და ეუბნება; – ადექ, ძმაო,
და შედი სახლში!..
ღვინის მოტანას უნდებიან,
ვერ ხედავ განა?..
გეყოფა —დადე მაგ ჩანგალი...
დადევი დანა!..—
და თუმც მახარეს გამწარებულს
დარდი გულს ღრღნიდა,
მაინც ადგომა და შინ წასვლა
აღარ ულირდა.

**6. თქმულება.**

რა მოხდა შემდეგ დღეს სიმართლე
არავინ იცის...
ხმებია ბევრი. ზოგი მათში
კაცს მოგგვრის სიცილს.
და ზოგიც კიდევ სევდას მწარეს,
თუ ტირილს არა...
იტყვი, ნუ ამბობ ამბის ბოლოს,
გვეყოფა... კმარა?..
უკანასკნელი გადმოცემა
არის ამგვარი:
ვითომ მახარე მოგიდასთან
ენახათ მკვდარი...
და ექიმს ეთქვა (სულ ერთია
ვის, ან სად, როდის?)
მოუკლავს, ვფიქრობ, კაცი ესე
სადილის ლოდინს...

**სინემატო**



# ღორის ნანა

სწოვეთ ტკბილად, უდარდელად,
რამ შეგაშინაო.
ჩემსა მკერდსა მიგიგნიათ
ტკბილი თქვენ ბინაო.

თქვენზე ვზრუნავ, ნუ იდარდებთ—
გაჰქმევთ უხვად რკოსა.
ჩემი ზრუნვა და ამაგი
ტკბილად შეგერგოსა.

მეც თქვენსავით ვიყავ გოჭი—
გავხდი დიდი ღორი.
ქონი ბლომად შევიძინე,
ვთხარე მთა და გორი.

ღმერთმა მოგცეთ დიდი დინგი,
მიწა გადათხარეთ.
გაიზარდეთ, ღორი გახდით
და მე გამახარეთ.

მომესწრება ღმერთით მალე
თქვენი დაღორება.
მაშინ ყველას შეგეძლება
ლაფში დაგორება.

**ზმუკი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცოცენიადა

## ანუ ქურდ-ბაცაკთა და „უკროზისკის“ ამბავი.

**დღის 11 საათზე გაქურდეს სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის, ამხ. თახსიმ ხიმშიაშვილის ბინა.**

...დღის 12 საათზე გაქურდეს ამხ. სიმ. კილაძის ბინა.

...დილის ათ საათზე გატეხეს რკინის გზის სკოლის მასწავლებლის ბინა, საიდანაც წაიღეს 850 მანეთის ნივთები.

...გაქურდეს მასწავლებელი გრიგოლია.

...გაქურდეს ვაგონის მუშა ნასრია.

(გაზ. ბრძოლის ქრონიკებიდან).

**სისხლის სამართლის მილიციას ვუცხადებთ მადლობას ენერგიულ მუშაობისათვის.**

აჭარისტანის შინაგან საქმ. სახ. კომ. ბრძანებიდან.

ამხანაგო ტარტაროზო,
შენს ბრძანებას პირველ ნომერს
მუშათა და გლეხთა მიმართ
გავეცანი ოც ნოემბერს.
პირველ ყოვლის ფუხარულად
„სალემს“ გიძღვნი მე **მედუზა**
და შემდეგ მსურს, რომ სალაშქროთ
გავამგზავრო ჩემი მუზა.
მოგახსენებთ ყოველივეს
ამ მხარეში რაც კი ხდება
და ჩანგალზე წამოგიგებ
ვინც საკბილოთ გამოდგება.
მაგრამ ფოსტა ამ ამბავსა
ვერ მოიტანს ადრე მანდა.
ერთი თვეა, რაც საალყო
აქ წესები გამოცხადდა.
შენ უთუოდ, მბრძანებელო,
ასეთ ამბით გაოცდები
და შემკითხავ: შენ მედუზა,
ტყუილს ამბობ ან და ცდები.
თვით იქაც კი - საიქიოს,
ამბობენ, რომ ამ დროებით
ქალაქ ბათომს ტკბილად სძინავს
და ნეტარებს მყუდროებით!..
მოგახსენებ, ტარტაროზო,
რომ ბათუმი მართლაც წყნარი
ქურდ-ბაცაცებს ბლომად იტევს
და შიგ დგანა მათი ჯარი.
დიდი არის მათი მადა,
ჯერ ვერავინ უკრავს ხელებს.
აცოცებენ: ნოხებს, ქურქლებს,
საბნებსა და ტანსაცმელებს.
რომ დაიწყო მათთან ბრძოლა
უნდა იყო კაცი ლომი
და ამიტომ „უგროზისკმა“
განუცხადა სამღვთო ომი.
ორივ მხარემ მოიშველა
ომში ყველა თვისი ძალა
და ფრონტები საშინელი
თვით ქალაქში გაიშალა.
მაგრამ ბედმა მუხანათმა
გაახარა მტერთა მხარე.
ჯერ დაშავდა თვით თახსიმი
„სოვნარკომის“ თავმჯდომარე —.
მერე მიჰყვა სიმ. კილაძე,
მოქალაქე გრიგოლია
და არავის არ ინდობდა
ტყვია მტრისგან ნასროლია.
შეგვიწუხდა „უგროზისკი“
მოიკრიფა ძალი-ღონი
— და რომ ქურდებს არ დაეპყრო
მთლად ბათომის რაიონი —
სტრატეგიულ მოსაზრებით
დაიხია ქალაქ გარეთ,
რომ იქიდან ძალ მოკრებით
დააყენოს მტერს დღე მწარე.
ბათომი კი ქურდებს დარჩათ,
ყველა თავის ბედსა ლოცავს
და ვისაც კი რამე დარჩა
ოთახიდან სულ მიცოცავს.

**მედუზა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დეკრეტი № 1

ჩემს მოსვლის შემდეგ, ვამჩნევ რომ ხშ რად,
ვისაც არ უღირს სიცოცხლე ძვირად,
მართავენ რაღაც ტრიუკ-ხრიკებსა,
(ხომ კი კითხულობთ ჩვენს ქრონიკებსა).
რომ აიშორონ ჩემი რისხვანი
და ამისათვის ბევრი მათგანი
სამ სართულიდან ქუჩაში ხტება,
ზოგიც ხიდიდან მტკვარში ვარდება,
ზოგიც რევოლვერს იხლის გულს შინა,
ზოგმაც გაშიგნა თვის მუცლის შინა,
ზოგი კიბეზე დაკოტრიალობს
და ზოგიც ეხლა დაყეყიალობს,
რათა დრო ნახოს მოხერხებული
და დააქვრივოს შეყვარებული.
ასაცილებლად უბედურების
და სამშვიდობოდ ყველა მდგმურების,
უცხადებ ყველას, რომ სიყვარული
ქალ-ვაჟთა გულში შემოპარული,
აშკარა არის თუ ფარულია—
ამიერიდან აკრძალულია.

დეკრეტი ესე შედის ძალაში
როს ტვინი შევა თავის ქალაში.

ჯოჯოხეთის მთავრობის თავმჯდომარე:
**ტარტაროზი.**

საქმეთამმართველი: **ყიამეთი.**

დედანთან სწორია:
მდივანი **ჰინჰარი.**

30 ნოემბერი.
ტარტაროზის სასახლე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფანდური

ვაშა ჩემო ტარტაროზო,
მაგ კისერში გენაცვალო.
შენ გცოდნია ალალ კაცის
პატრონობა და დაცვაო.

რკინის გზაზე მოდი ჩვენთან,
მაქ შესწყვიტე ღვდლის პარსვაო
მრავალს ნახავ აქ შავ პირებს,
ბოძზე უნდა ააცვაო.



ელა-მელა, კუდა-მელა
თავად ლობეშვილიაო,
ღვინის მსმელი ეჯავრება,
თვითონ გახეთქილიაო.
ქალწულ ქალის მაძებარი
გოროდოვოის შვილიაო.
მისი ხელით შტატს მოშორდა
ბევრი ქალიშვილიაო.

ური-მური, სამსახური
ზაქსად გადააქციაო.
ო, რა ტკბილად მოუხდება
ტარტაროზის ტკაციაო.

ოვი მოვი... აბრამოვი
ფულის მოყვარულიაო—,
ინჟენერად წოდებული
სინდისით კი კრულიაო.
მისი ქცევა მუშებისთვის
მეტისმეტად მტრულიაო,
მაგრამ რაღაც ხრიკებითა
დღესაც მუცლით სრულიაო.

აზი-ნაზი და ლამაზი
არის ერთი ანციაო.
იფ! რა კარგად მოუხდება
ტარტაროზის ტკაციაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია-უა.. ხა... ხა... ხა... ხა...
უკვე გასაგებიაო
თუ რად უნდათ სპეც-ობობებს
კამანდიროვკებიაო.
ტარტაროზო რას უყურებ,
მოაჩვენე რქებიაო,
სპეცებს ჯერ ხომ შენი კუდი
საჩუქრად არ რგებიაო.

უბრი-დუნბრი, ზოგი ზუბრი
რკინის გზებზე თამამია,
ჯერჯერობით მოინდომა
ქრთამად მარტო ქათამია.
მაგრამ უცბად მიწა იძრა,
სამართველო ატოკდაო.
ზუბრის გული აფართხალდა
წაფართხალდა და მოკვდაო.

ენკო-ჩენკო, დაიჩენკო
ადმინისტრატორიაო
(არ გეგონოთ ეს ამბავი
იყოს რამე ჭორიაო).
ერთ კვირაში მისთვის არის
შვიდი პარასკევიაო.
ალბად ასე გაზრდილია
და მას ასე სჩვევიაო.
პროფკავშირებს წევრებს უსევს
ძირის გამოსათხრელათო;
დღეს რომ გაქებს, ხვალ გაძაგებს,
აზრებს იცვლის სწრაფ-ხელათო,
უქი-მუქი, თვისი კუჭით
„დიდებული“ კაციაო:

ო, რა გვარად მოუხდება,
ტარტაროზის ტკაციაო.
ჭიკი-ჩიკი, არტელჩიკი
რკინის გზებზე სუქდებაო,
ფეხით სვლას რომ არ კადრულობს
ის ეტლებში ქუქდებაო.
ტანსაცმელებს იცვლის მალე
არასოდეს ხუნდებაო:
მისი ტანი დღე-დღეობით
მეტისმეტად ბუქდებაო,
იჩიკს-ბიჭიკს, ამ არტელჩიკს
უყვარს ქალი ანციაო.
ტარტაროზო რას უყურებ
მოსცხე ბარემ ტკაციაო.

აძეს-მაძეს ჩვენ მუმლაძეს
მოერია ქანციაო,
სუყველაზე მეტი იკრა
რკინის გზელთა განძიაო.
მუშას ცოტა გადაუგდო,
თავის-თავის კაციაო,
ო, რა კარგად მოუხდება
ტარტაროზის ტკაციაო.

ასე ჩემო ტარტაროზო,
ჯერ ეს ცოტა იკმარეო,
მოდი ჩვენთან რკინის გზებზე
და აქ ბევრი იბარეო.
დაყოვნება ზიანს მიგვცემს
და ამიტომ იჩქარეო
კბილი, ცოცხი და ჩანგალი
აქ სულყველა იხმარეო.

**ბერიონი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სალამი ტარტაროზს

ვისმინე მოსვლა ამ ქვეყნად
შავ ჯოჯოხეთის შვილისა,
მბრძანებელ ტარტაროზისა,
უხვის და გულ გაშლილისა...

რახან მოსულხარ ამ ქვეყნად
შენ ჩვენდა დასახმარდა,
მიიღე ჩემი მსხვერპლიცა,
გულისა გასახარადა.

მეც მიმსახურე სხვებს შორის,
გონჯი არა ვარ თვალადა,
მღვდელ-დიაკვნები, ვაჭრები,
ჩემს თავზედ იყოს ვალადა...

მიყვარს აგრეთვე ნავარდი:
მივარდნილ კუთხე — მხარეში,
სადაც ხშირია სტუმრობა
და ყმაწვილების თარეში...

სხვაც კიდევ ბევრი რამ ვიცი
ჯოჯოხეთისა სარგები,
არავის მინდა სამოსი,
არც საბანი და საგები...

შენთვის საკურთხის მოგზავნა,
დღეიდან ჩემი ვალია,
მუქთა-ხორები ამ ქვეყნათ
ჯერ კიდევ ხომ მრავალია.

„სპეცებსაც“ გამოგიგზავნი,
თუ კი ჩავიგდე ხელშია,
უფრთხილდი მხოლოდ წყეულებს,
არ გაგეჩხიროს ყელშია.

მეტი რა შემწევს საცოდავს
შორე მხარეში მყოფელსა.,
მიბრძანებ ბათომს დავიპყრობ,
თან ახლო-მახლო სოფელსა...

ამ მხარეს ვესაკუთრები,
წასვლა არა მაქვს გულშია,
ზამთარში აქვე ვიზამთრე,
აქ დავრჩი გაზაფხულშია.

ზოლი.

# ტუალეტთან

ჯამაგირსაც მიტომ ვიღებ
რომ ამ ჩემ თავს მოვახმარო,
შემცდარია თუ არ მბაძავს
ამ საქმეში ჩვენი მარო...

ეს პომადა, ლორიგანი,
და „კრასკები“ ათასგვარი,
აბა რა მოსახმარია,
წაცხებაზედ თუ ვთქვი ვარი...

მე ვმსახურობ კარგ ადგილზე,
მემოყვრება იქ ყველანი,
არ მჭირია სამუშაოდ
არც ქაღალდი, არც მელანი.

არც კალმისტარს ვიღებ ხელში,
ეს არ არის ჩემი საქმე,
თუ კი მწყალობს ჩვენი გამგე
ვინ რას მკადრებს საწყენს აქ მე.

თუ პუდრს ვისვამ ეს არ ნიშნავს
საქმით გული არ ვიჯერო.
რა უყოთ რომ ეს ქაღალდი
სამი კვირით შევაჩერო...

პ. ოზოლი.



# ტარტაროზს

**მის აგენტ ყლინწისაგან**

უსამსახუროთ ყოფნა
ძნელი საქმეა სწორედ.
ს. ზ.

## განცხადება

რაც შენ მოხვედი ჩანგლითა, არ არის დიდი ხანია.
სამართალი და კანონი მოგაქვს და მოგიტანია.
შრომის ბირჟაში საკმაოდ წლეები დამიხანია.
ამაო დგომით რიგებში ჩამოღრა ჩემი ტანია.

ასჯერ წმედაში მატარეს, ათასჯერ გამოვცხადდია,
ბედმა მარგუნა იმედათ — წიგნაკი ხელს მაბადია.
როს მივიდოდი მეტყოდენ: ხვალ მოდი, დღეს კი წადია.
დღესაც ვარ უმუშევარი, (ვერ ვიშოვნიდი ცხადი·).

ზავხოზი და ბუჰხალტერი, ტკბილად რომ ენას ჰფენსაო,
თავის თავს სპეცებს უწოდებს, წიგნებს ადენენ წვენსაო.
ჩემი ხვეწნა და მუდარა შემოდვენ სახლის სხვენსაო,
„საქმე რომ არა გქონდეს რა — ჩამოირბინე ჩვენსაო“.

დავდივარ აცრემლებული, ტანჯვათ გადიქცა წამია,
ეხ, აღარ ვნაღლობ — ამდენხანს ამ ქვეყნად რაც მიწამია.
შენ მომევლინე მღარველად, დამიცავს შენი შხ მია;
ვალად გდებ მტკიცედ იფარო ყლინწი პატარა ძამია.

**ყლინწი.**

### გამხნევდი ყლინწო.

გაცნობებ შენ და აგრეთვე მრავალ შენს „ერთ ბედს ქვეშ მყოფთ“, რომ თქვენი ამდენი ხნის მტანჯველი ბირჟას შრომის, ფეხზე დგომის, უქმად მჯდომის ოთხმოცდათექვსმეტი გრადუსი სიცხე აქვს. მისი გამობრუნება ძველი ჯანით და ძლიერებით შეუძლებელია. ეს ამბავი დიდ სიხარულს იწვევს უმუშევართა შორის. მათ მიერ უკვე შემდგარია დამსაფლავებელი კომისია, რომელშიაც შედიან დამსახურებული სამი წლის სტაჟ ანი უმუშევრები.

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

**ტარტაროზი**

## ცნობა

ქვეყნის ორგულს და მუხანათს
ზრაზი ერევა დღესაო
და ტარტაროზის ლოდინში
იცვლიან ძველსა ქერქსაო.
იციან ბასრი მახვილი
მრავალს გაუწყვეტს წელსაო,
უზნეო საქციელისთვის
თავზე დაასხმენ თხლესაო.
ჩურჩული ისმის აქა-იქ
— ცუდი დღე გველის ჩვენცაო,
რომ შეიტყობენ ჩვენს საქმეს
დაგვიბნელებენ მზესაო.
ეს ტარტაროზი, ძმობილო,
არ ინდობს ავს და მტერსაო;
სიფრთხილე გვმართებს, ბიჭებო,
ვევედროთ მაღლა ღმერთსაო,
თუ ძველი კი შეგვარჩინეს
ახალზე ვიღებთ ხელსაო,
ჩეკაში ჯდომა სჯობია
ჩავარდეთ მისა ხელსაო.
ასე მოსთქვამენ ქვემძრომნი
ყველა კუთხისა დღესაო.
ზესტაფონში კი მე ვიცი
როგორ მივაყრი მეხსაო.

**მათუსალა.**

## შარადა

ავიღე გულდა-ნაბადი,
მოვნახე ჩემი სტვირია,
შარადის გამოსათქმელად
სიტყვას დავეძებ, მჭირია.

—

ვიპოვე და ამ ძებნაში
გადამხდა დიდი ჭირია.
ტარტაროზს უნდა მიუძღვნა,
რადგან აქ არვის სჭირია.

—

პირველ ყოვლისა მოვნახოთ
პლანეტა მაღლა-ცაშია,
შეყვარებული ღამ-ღამით
იმის ამოსვლის ცდაშია.—

—

მას ორი ასო მოვსწყვიტოთ
ბოლოში, არა თავშია;
და შარადისთვის გადავდოთ
გვჭირდება ორ-სამ წამშია

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ დასავლეთ ევროპას
ვაფრინოთ კაცი მალია,
იქ რომ სალაყბო არსებობს,
არც გზა აქვს, არცა კვალია,

სხვის საქმეს ებლაუქება
მისი კი დაუმალია.
შარადას მისი სახელი
სჭირდება ვით წამალია.

ამ სიტყვის ბოლო ანბანი
არაფერია, მოსჭერით.
შარადას აღარ სჭირია
ნუ შეწუხდებით დაწერით.

რაც დაგრჩეს პირველს მიაბით
პატარა ძაფის ნაჭერით
და დანარჩენის საძებრათ
წავიდეთ ტყეში სიმღერით.

შარადა მაშინ გამოვა,
მიხვდება მას თვით მკითხველი,
თუ ნაზ ყვავილსაც მოვნახავთ
გვჭირდება მისი სახელი.

გაზაფხულს იმით შევიტყობთ
ვინც ხართ იმისი მნახველი,
შარადაც იმით თავდება
ჩავჭიდოთ მაგრათ მას ხელი.

დასრულდა ესე შარადა
მივიღეთ სიტყვა ცნობილი,
ძველი რეჟიმი მით იყო
მაგარი გამოწყობილი.

მუშების მოსატყუებლად
შეთხზული, გამოცხობილი;
გლეხების გასაჩუმებლათ
დაწერილ—გამოგონილი.

სიმართლე როცა გამოჩნდა
დღეს ის არავის სჭირია,
კვლავ აღარ დაგვიბრუნდება
გმოეთხარა ძირია.

ტარტაროზს გადაუგზვნოდ
იქნებ იქ ვინმეს სჭირია,
თორემ აქ მისი დარჩენა
იქნება კიდევ ჭირია.

„მიმოზა"



# პროვინცია

(ტარტაროზის საკუთარ აგენტებისაგან)

**სამტრედია.**

იყო და ეხლაც არის ადგილკომის მდივანი ხარიტონი.

15 ნოემბერს იგი სანადიროდ გაემგზავრა ქალადიდს.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა დაბრუნდა 18 ნოემბერს. სულ ამ საქმეზე სამიოდე დღე გააცდინა.

19 ნოემბერს შეუდგა ნანადირევის გაპუტვას და ქეიფის მზადებას.

გადაათვალიერა პროფმუშაკებთა სია და ამოარჩია სპეცი მსმელები, ვითარცა მექი, ვანიჩქა, ალექსანდრე, აკაკი და მათ შორის ტეხნიკოსი კოსტაც.

საღამოს 6 საათზე მოწვეული კრება არ შედგა, რადგან ქეიფი 5 საათზე დაიწყო და გასტანა დილის 5 საათამდე,

გათენდა და საყვირმა მოინდომა ხარიტონის გაღვიძება, მაგრამ ვერ შესძლო.

მოსამსახურეები სამსახურში იჩქარიან. ხარიტონი კიდევ ძილითშია და ერთ გვერდზე სძინავს; იშვიათად თუ გადაბრუნდება.

ვანიჩქაც ქეიფის შემდეგ უქეიფოდ არის... თავბრუ ესხმის და სალაროში ველარ მუშაობს.

ტეხნიკოსი კოსტა ავად გახდა (საერთოდ იგი სუსტი მსმელია).

ასე და ამ გვარად ხარიტონმა ამ საქმეზე სულ ხუთიოდე დღე გააცდინა, ხოლო მისმა სტუმრებმა — თითო.

**მორზელი.**

**სად. ნატანები.**

სადგურის მთელი შემადგენლობა ზეიმით შეხვდა ტფილისიდან მიმავალ ტარტაროზის აგენტს.

შეხვედრას რომ მეტი სიხალისე მისცემოდა, ადგილობრივი რკინისგზელები შეზარხოშებულიყვნენ. როგორც კი მოუახლოვდა მატარებელი სადგურს, სიხარულის გამო გამართეს ერთმანეთშორის მუშტ-მკრივი და დანებით ვარჯიშობა. მონაწილეობა მიიღეს და თავი ისახელეს სადგურის უფროსმა ცერცვაძემ, მორიგე გეგეშიძემ და თონდუამ. მწონავ გურგენიძეს ეჭვი შეეპარა, რომ სხვებს მასზე მეტი ჰქონდა ნასვამი. ამიტომ ასწონა ყველა ესენი და როცა ტარა გამოაკლო, აღმოჩნდა, რომ მასაც ერთი ფუთი ღვინო დაელია.

ბედნიერების თავიდან ასაცილებლად ჩაერია ტარტაროზის აგენტი და მათ შორის მეორეჯერ დათრობამდე ჩამოაგდო დროებითი ზავი.

**ხაშური.**

ოქტომბრის დღესასწაულს ადგილობრივი სცენის მოყარენი და ღვინის მოყვარენი ალტაცებით შეხვდენ.

რეპეტიციის დროს გამართეს ცანთვარჯიშობა და ერთმანეთი „დაზილეს". „მასაჟისტობის" პრიზი ერგო ალ. დასავალიძეს და ან. მჭედლიძეს.



**ჭიათურა.**

ადგილობრივი რკინის გზის განყოფილება აცხადებს მგზავრებთა საყურადღებოდ, რომ წვიმიან დღეებში თან იქონიონ ქოლგები, ვინაიდან ვაგონებში წვიმა ჩამოდის და დასველდებიან.

ტეხნიკურ პირობების გამო ვაგონების შეკეთება არ ხერხდება, რადგან წვიმის დროს მუშაობა შეუძლებელია (მუშები დასველდებიან), ხოლო კარგ დარში წვიმაც არ ჩამოდის.

**ნაძალადევი.**

სახლის პატრონები ალტაცებაში არიან, როცა სახლი ინგრევა და ნანგრევები მდგმურებს ეცემათ.

როსტოვიდან და გროზნოდან (ქუჩებია) მოვარდა ნიაღვარის პარტიზანული ბრბო და შეესია ადგილობრივ მუშების სარდაფებს.

ცეცხლისმქრობელ რაზმის მიერ ჩაქრობილ იქნება ნიაღვარის ამბოხება.

ამ ჟამად, მზიან დღეებში, სრული წესრიგია აღდგენილი.

**სადგურის ქუჩა.**

გახსნილია სასადილო „საამური", სადაც დღით და ღამით უკრავს გარმონი და სალამური. ადგილობრივი მუშა-მოსამსახურენი, როგორც კი ძილში ჩაესმებათ სიმღერა, ილვიძებენ და მთელი ღამე უფასოდ ისმენენ ამ ნეტარებას. საჭიროა ალმასკომმა ყურადღება მიაქციოს და თითეულ არალეგალურ მსმენელს სასადილოს სასარგებლოდ გადახდეს ერთი დღის ხელფასი მაინც.

# ჩვენი ფოსტა

**მახინჯს.**

თქვენ იწერებით:

„ზოგიერთი ღვთისნიერი სოციალისტები მიწის კერძო საკუთრების მოსპობისათვის შემდეგ მიზეზს ასახელებდენ:

მიწა, როგორც ჰაერი და წყალი ღვთისაგან არის გაჩენილი და ყველას ეკუთვნისო.

ჩემი აზრით ასე უნდა მიუდგეთ ქალთა საკითხსაც, ვინაიდან ქალიც, როგორც დამტკიცებულია, ღვთისაგან არის გაჩენილი და მასზე უფრო მეტი შრომაა დახარჯული.

მამაკაცი ღმერთმა გააჩინა სიტყვის თქმით, ხოლო ქალის გაჩენისათვის მეტი შრომა დასჭირდა; ჯერ ადამი გააკეთა, შემდეგ საყასბო დანა და ამ დანით ადამის გვერდიდან ამოჭრა ქალი; იმ ოპერაციას დიდი შრომა დასჭირდა.

ამ გვარად, მარქსის თეორიით რომ ვიხელმძღვანელოთ (რაც უფრო მეტი შრომაა დახარჯული საგანზე, მით უფრო მეტი ღირებულებისაა იგი) ქალი მეტი ღირს მამაკაცზე... საჭიროა დახავსებულ შეხედულების წინააღმდეგ იერიშის მიტანა... უნდა მოხდეს ქალების სოციალიზაცია“....

— ამხ. მახინჯო... ქალების სოციალიზაცია რომც მოხდეს; თქვენ მაინც არაფერი მოგიწევს; ასე რომ გირჩევთ ამ მოთხოვნილებაზე ხელი აიღოთ; თქვენი საქმე მაშინ უფრო ცუდად წავა.

თქვენ ტარტაროზის დაუკითხავად მანიფესტიც გამოგიშვიათ. ვინ მოგცათ ამის უფლება?

**„მახინჯთა მანიფესტში“ ამბობთ:**

„გლეხმა მიიღო სოფელში მიწა,
ქალაქში მუშამ ყველა ქარხნები,
მაგრამ კომუნამ რატომ არ მისცა
კაცებს ქალები, ქალებს კაცები?
თქვენ ამიხსენით, თუ რატომ ხდება
უსამართლობა ამნაირ დარგში?
ლამაზ კაცს ბევრი ქალი რად ხვდება?
და მახინჯები რად არის დარდში?
თუ მუშებს მისცეს ქარხნები მიტომ,
რომ ოფლს ღვრის შიგა და ამუშავებს.
მახინჯს რომ მისცეთ, ქალები, ვითომ
ლამაზზე ნაკლებ დაამუშავებს?!
ბირჟაც მოისპო და უსაქმურად
ვტკეპნით თფილისის პროსპექტს და ქუჩებს,
დავდივართ მძიმედ და ჯნებურად
ნერწყვით შევსცქერით გაკრასკულ ტუჩებს“..

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ტარტაროზი გაფრთხილებს მეორეჯერ არ გაბედო ასეთი მანიფესტის გამოქვეყნება, თორემ ერთი პანღურით ჯოჯოხეთში ამოგაყოფინებს თავს. იქ კი გაკრასკულ ტუჩების ნახვაც მოგენატრება და ნერწყვიც გაგიშრება.

**ჯარბედელს-**

მაქ ყველაფერი ლვდლებს შეუჭამიათ და ჩვენ რომ ჩამოვიდეთ, რა ვჭამოთ? ლვდლებს ისე ბევრს უგზავნიან ტარტაროზს, რომ მათი ჭამით კბილები მოეკვეთა. ასე, რომ ამ მოპატიჟებით ნუ იქნებით ჩვენს „მოლოდინში“.

**წიქარიძეს.**

თქვენ გვწერთ, რომ პარკოვის ქუჩაზე მარცხნით ბაღში უსუბთაობას სჩადიან.

„ქალის გავლას ელოდებათ
ავარები, გარყვნილები.
სამარცხვინო გზას რომ აცდეს
შორე გზაა მოსავლები“.

აი სწორედ ამიტომ არის ნათქვამი, რომ—შორე გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო...

თუ მილიცია ყურადღებას არ აქცევს, არც ეს არის საკვირველი, რადგან უსუფთაობას მყრალი სუნი აქვს. ისე გაცემულია შესაფერი განკარგულება; გადაყენებული იქნება მორცხვი მილიციონერი და მის მაგივრად დაინიშნება უტიფარი.

**კუკუს.**

**ზესტაფონი.** საქმისმწარმოებელ კოწიკო ნინიკაშვილზე თქვენ გვწერ:

მეტის მეტი არშიყობით
ქიდაბი გამთელია.
რა ჰქნას, ყველა პატივსა სცემს
— საქმისმწარმოებელია.

თუ კი ამ კაცს საქმის და არშიყობის წარმოება ორივე შეუძლია, თქვენ რაღას ერჩით? ხოლო თუ არშიყობას საქმით აწარმოებს,—მაშინ ტარტაროზის მათრახი მზად არის.

იუმორისტული დამატება გაზეთ „მ უ შ ი ს“ „ტარტაროზი“ დაურიგდება უფასოთ ყველა ხელის მომწერლებს.

პასუხისმგებელი რედაქტორი
პ. მ. საყვარელიძე

პოლიგრაფტრესტის მე 2 სტამბა
ლენინის ქუჩა № 3.